დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 10

ქ. დმანისი 10 ოქტომბერი 2025 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. აზერ ალიევი
4. ოლეგი გოშუანი
5. ილია სარსევანიძე
6. მაკა ოკმელაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მურაზი აბრამიშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. სოფიო ასლამაზაშვილი
11. შახინ კოიალოვი
12. შოთა აკობაშვილი
13. მიხეილი დაუთაშვილი
14. გუმბათ იუსუბოვი
15. შახინ კოიალოვი
16. გამლეტ ისმაილოვი
17. სტამბულ ისაევი
18. ნატიგ ოვჩიევი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი,
სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი
სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 20
სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთახმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**	
2	**განკარგულება:** „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე		
	მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**	
3	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**	
4	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის №g-109.109250287 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ		
	მომხსენებელი:	**ლ.მანთაშაშვილი**	

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 06 ოქტომბრის #1623 „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის #186 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 75,0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა აისახოს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „შემოსულობები“-ს „გრანტები“-ს მუხლში და შესაბამისად „გადასახდელები“-ს ორგანიზაციული კოდი 02_04_02 „ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 75,0 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
2) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 07 ოქტომბრის #04-10825280110 წერილის საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:
    - ორგანიზაციული კოდი 05_02_04 „კულტურული ღონისძიებები“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლიდან გადატანილ იქნას ორგანიზაციული კოდი 05_05 „ახალგაზრდობის მხარდაჭერა“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლში 6,0 ათასი ლარი და

აღნიშნული მუხლი ნაცვლად 158,3 ათასი ლარისა განისაზღვროს 164,3 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

- ორგანიზაციული კოდი 05_02_04 „კულტურული ღონისძიებები"-ს „საქონელი და მომსახურება"-ს მუხლიდან გადატანილ იქნას ამავე კოდის „სხვა ხარჯები"-ს მუხლში 14,0 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 95,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 109,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

3) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 08 ოქტომბრის #02-1082528119 წერილის საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- ორგანიზაციული კოდი 03_04 „უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები"-ს „საქონელი და მომსახურება"-ს მუხლიდან გადატანილ იქნას ორგანიზაციული კოდი 06_02_01 „ავადმყოფთა სოციალური დაცვა"-ს „სოციალური უზრუნველყოფა"-ს მუხლში 30,0 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 707,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 737,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ორგანიზაციული კოდი 02_04_03 „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარება"-ს „სხვა ხარჯები"-ს მუხლი შემცირდეს 50,0 ათასი ლარით, ასევე ორგანიზაციული კოდი 01_02_04 „თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა"-ს „სხვა ხარჯები"-ს მუხლი შემცირდეს 10,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხები, ჯამში 60,0 ათასი ლარი, გადატანილ იქნას ორგანიზაციული კოდი 06_02_03 „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა"-ს „სოციალური უზრუნველყოფა"-ს მუხლში. აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.050,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.110,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

4) დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 08 ოქტომბრის #108.108252815 ბრძანების საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 02_07 „საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა"-ს „არაფინანსური აქტივები"-ს მუხლიდან ამავე კოდის „სხვა ხარჯები"-ს მუხლში გადატანილ იქნეს 1,8 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 48,4 ათასი ლარისა განისაზღვროს 50,2 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **35 398,5** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ" 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე

დამტკიცდეს განკარგულების დანართით (დანართი თან ერთვის მატერიალური სახით) წარმოდგენილი „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ" 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ვინაიდან დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა აღემატება მერიის მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5 პროცენტს, სამსახურებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე განკარგულებით შეთანხმებულ იქნეს და ცვლილება შევიდეს ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულების პირველი პუნქტით შეთანხმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობაში და განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს:

ა) (რიგით მეთვრამეტე) - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი საარქივო მასალების დამუშავებისა და კანცელარიის საქმისწარმოების საკითხებში - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

ბ) (რიგით მეცხრამეტე) - მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტი ინსპექტორი დასუფთავებისა და შინაური ბინადარი ცხოველების რეგისტრაციის საკითხებში - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

აზრი გამოთქვეს: ოლეგი გოშუანმა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინააღმდეგი:

4. მომხსენებელი: ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის №g-109.109250287 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

2025 წელს ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხას დაემატოს „სტიქიის შედეგად დაზარალებულ სოფელ მაშავერაში საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების თანადაფინანსება“, რისთვისაც საჭიროა 10800ლარი. აღნიშნული თანხა გადატანილ იქნას „სოფელ კამარლოში მინი სტადიონის მოწყობა“.

აზრი გამოთქვეს: ილია სარსევანიძემ.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინააღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი

დანართი

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულება

ქ. თბილისი **2 ოქტომბერი, 2025 წ.**

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო (შემდგომ - „სამინისტრო“) წარმოდგენილი მინისტრის - კახაბერ გულედანის სახით და დმანისის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში - „მუნიციპალიტეტი“) წარმოდგენილი მერის - კობა მურადაშვილის სახით, ერთად წოდებულნი როგორც - „მხარეები“,
ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით, „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 აპრილის №134 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი¹“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულებით, ვთანხმდებით შემდეგზე და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მუნიციპალიტეტის მიერ :

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია;

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა პოსტავტორიზაციის პროცესში, ავტორიზაციის სტანდარტებთან (ინფრასტრუქტურის ნაწილში) შესაბამისობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა;

გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის;

დ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობაში ან/და ეზოში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინვენტარით აღჭურვა.

ე) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა/ აღჭურვა;

ვ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირება/საწვავის/ბრიკეტების/შეშის შესყიდვა.

1.2. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულებას სამინისტროსთან კონსულტაციით.

1.3. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების დელეგირება მოიცავს მათ შორის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფლებამონაცვლე უწყებების განსაზღვრისა და მათთვის სათანადო უფლებამოსილებების გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №302 დადგენილების დანართით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსათვის განსაზღვრულ დაწყებულ, არსებულ და დაგეგმილ ვალდებულებებს.

1.4. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით მასზე დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.5. დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' დადგენილი წესით გასწევს სამინისტრო (შემდგომში - „დარგობრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო").

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. სამინისტრო:

2.1.1. ახორციელებს მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2.1.2. უფლებამოსილია, მოითხოვოს დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი და ინფორმაცია, მათ შორის, სამართლებრივი აქტები და ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

2.1.3. უფლებამოსილია მუნიციპალიტეტისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა და კეთილსინდისიერი შესრულება.

2.1.4. სამინისტრო, ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტისთვის შესაბამისი ფინანსური რესურსების გადაცემას საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულების შესაბამისად.

2.2. მუნიციპალიტეტი:

2.2.1. უზრუნველყოფს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულებას.

2.2.2. დელეგირებულ უფლებამოსილებას ახორციელებს კეთილსინდისიერად, სრულად, თავისი პასუხისმგებლობით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.2.3. დელეგირებული უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, ასრულებს/ითვალისწინებს სამინისტროს მიერ დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელების ფარგლებში გაცემულ სარეკომენდაციო ინსტრუქციას საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' დადგენილი წესით.

2.2.4. დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გადაცემულ რესურსებს იყენებს მიზნობრივად.

2.2.5. ვალდებულია, დარგობრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტი და ინფორმაცია მიაწოდოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

2.2.6. უფლებამოსილია, დელეგირებული უფლებამოსილება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, განახორციელოს ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით.

2.2.7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების/ვალდებულებების შესრულება დასტურდება „თანხის გამცემსა" და „თანხის მიმღებს" შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით;

2.2.8. „თანხის მიმღები" ვალდებულია ხელშეკრულების 2.1.4 მუხლით გათვალისწინებული თანხის აუთვისებელი ნაწილი დააბრუნოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 3. ფინანსური უზრუნველყოფა

3.1. დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი ფინანსური რესურსი გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი ტრანსფერის გადაცემის გზით.

3.2. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სამინისტრო უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტისათვის შესაბამისი ფინანსური რესურსების გადაცემას „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად (პროგრამული კოდები: 32 07 01 03 - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება“ და 32 07 05 02 - საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება), საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულების გათვალისწინებით.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების პირობები

4.1. ხელშეკრულება ძალაშია 2025 წლის 01 სექტემბრიდან.

4.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ნებისმიერ დროს.

4.4. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ცალმხრივად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

5.1. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან მისი პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

5.2. საკითხები, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის და რომლებიც რეგულირებული არ არის ამ ხელშეკრულებით, გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

5.4. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

5.5. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტს საქართველოს სასამართლო.

5.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მუხლი 6. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო ს/კ: 204755292	დმანისის მუნიციპალიტეტი ს/ნ: 228928391
მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის N10	მისამართი: ქ.დმანისი წმინდა ნინოს ქუჩა N41
Kakhaber Guledani 01024009201 Digitally signed by Kakhaber Guledani Date: 2025.10.02 16:21:07	Koba Muradashvili Digitally signed by Koba Muradashvili Date: 2025.10.02 11:20:52 +04'00'